

საბიუჯეტო კონტრაქტის განმარტება.

Handwritten notes in a red-bordered box, including the word "შედეგად" (Result) and other illegible text.

ვანო სარაჯიშვილი

Handwritten signature in red ink.

რედაქციის იმპრინტის განყოფილება.



საიუბილეო კომიტეტის გაზიარება.

2262

ვანო სარაჭიშვილი



რედაქციის იუბილეო გამოცემა.

დედაქალაქი. 1923. მისის 16.



ՅԱՆ ԱՆՆՈՒՄՅԱՆ

პანო სარაჯიშვილს

ჩვენ პოეზია გვესახსნოვრება.

ჩვენშიც ჩამოწვა ნისლი უსასლო.

შენ აამსოვო ჩემი ცხოვრება—

შენ, ჩვენი გულის მიწათ ცუცხლო!

იბღორო! გრძნობა ისე მთლლო,
რომ ჩაგოვლოს სოვლა სიკოვლა.

იბღორო ჩვენი ცანჯვა მალალი:

მცოროს სასოლი გაღაგვიკოვლა.

ჰაე! როღესაც ვაზად ვისსლობი,

როს ცოე ისეცოებს მისის წყაროს—

იბღორო გრძნობით! ძმითა სისსლობი,

რომ ჩემს მარღებშიც გაღმითღვართს.

გავყვოთ ყვავილოებს გამოსავებად.

ვიბღოროთ ლოქსოე განსაკოთბით.

სიცოვა გარღავღმნათ მარღვიან ქვეზად

ღა მხო ავილოთ მთვართის თეცორობით.

მეგრამ თე ამგვარ სიმსეოვლოთი

შენ, ჩემო სელო, სა ლსში გალოღებ:

ღაგოცორობენ „გონსცოვლოთი“

ჩემი თითბების ცოლღი მალღობი.

ი. გრიშაშვილი.

მ ა ნ მ ს ა რ ა ზ ი შ ვ ი ლ ი

(ანასახი)

სულგანაბული დარბაზი ბინდუნდშია გახვეული. სცენაზე მთვარის შუქი იბნევა და ყალბად შეღებულ დეკორაციას სინამდვილის იერიშით ჰმოსაღვს. ორკესტრი მინელეგულის ხმოვანებით მისდევს მომღერლის ხმას.

სცენაზე ორნი არიან: ჯილდა და ჰერცოგი. რიგოლეტო, ეს არის, ეხლა გავიდა სცენიდან.

იწყება მეორე მოქმედების დუეტი. ნამდვილად-კი ჰერცოგის სასიყვარულო ჰიმნი. ჯილდა ამ დუეტში ნაკლებ მონაწილეობას იღებს.

ჰაერს აპობს ტენორის მთრთოლვარე ხმა. სამხრეთის მზესავით ეგზნება იგი, სხივივით ლაპლაპებს. ყველას: მომღერალთ, მესაკრავეთ და თვითეულ მოდარბაზეს გრძნობა ცეცხლივით ეკიდება.

ხმა-კი თანდათან ეგზნება. ატმოსფერა სიყვარულის ვნებით იჟღენთება. ირგვლივ რაღაც სითბოა. სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელი გივლის. გული გეფოანება. სისხლი ალურობს. სუნთქვა გიხშირდება.

ამ დროს დარბაზის მრავალმეტყველ მღუმარებას გაჰბზარავს ვილაციის შეკავებული, მაგრამ დაუძლეველი წამოძახილი ჩურჩულით—**ბრავო!**

აღბად, ველარ დაიტია ალტყინება, გრძნობა ძალუმად მოაწვა და, მისდაუნებურად, ალტაცებამ გადალახა თავშეკავების საზღვარი.

აი, ალტაცების ასეთი უნებური გამოთქმა—უაღრესი დაფასება არტისტისა.

ამნაირი მაგალითი იშვიათი არ იყო ხოლმე 1906 წ. სეზონში, როდესაც ვანო სარაჯიშვილი მღეროდა. ვანოს— ის იყო— ფეხი შეედგა ოპერის სცენაზე. ტფილისის საზოგადოების წინაშე იგი სულ მეორედ გამოდიოდა. პირველი დებიუტი ალფრედის როლი იყო „ტრავიატაში“.


ზემოაღნიშნული ეპიზოდი, რომლის მოწმეა ამ სტრიქონების დამწერი, იმიტომ მოვიტანე აქ, რათა მკითხველისათვის მეჩვენებინა, რომ ვანო სარაჯიშვილს გამარჯვება წილად ჰხვდა მისი მოღვაწეობის პირველ დღიდანვე.

ასეც უნდა ყოფილიყო. სარაჯიშვილს შესანიშნავი მეტყველი ხმა ჰქონდა, საკვირველი მომხიბლავი ტემბრისა, სიმღერის უნარიც. მაგრამ მარტო ამით როდი აიხსნება ის მაგიური შთაბეჭდილება, რომელსაც მომღერალი მსმენელში იწვევდა.

ლამაზი ხმა და მღერის უნარი საკმარისი არ არის მსმენელის აღსაძვრელად. ასეთი თვისება იშვიათი მოვლენა როდია მომღერალთა შორის, მაგრამ ნამდვილ ესტეტიურ დატკობას ყველა ვერ გაგრძნობინებთ.

თუ რაიმე საკრავზე ხელოვნური დაკვრისათვის, გავარჯიშებული თითებისა და პიესის კარგად ცოდნის გარდა, აუცილებელია კიდევ სხვა რამ, — სიმღერისათვის ეს „კიდევ სხვა რამ“ ერთი ათად უსაქიროესია. ეს არის ხორცუხსმელი, მაგრამ ყველა ხელოვნების უძლიერესი ფაქტორი — ტემპერამენტი და მხატვრული ალღო.

ადამიანის ხმა ყველა საკრავზე სრულყოფილია, მეტყველო და ამასთანავე უჟინიანესიც. მისი მოთვინიერება, განსპეტაკება მუდმივი შრომით და მეცადინეობით მისაღწევია. მაგრამ მისი გრძნობით აუღერება, ისე, რომ შენცა გწვავდეს და თითონაც იწვოდეს, — ეს მხოლოდ იმას ეძლევა, ვისაც მიმადლებული აქვს განმსჭვალვის ნერვი.



ნადირ („მატგალიჯის“ შაბიღულნი“)

ვანო სარაჯიშვილს ეს წერილი აღსავსეობამდე ჰქონდა და აქვს დღესაც.

სიმღერა — სიხარულია — მხატვრული და, უპირველეს ყოვლისა, ამ სიხარულით თვით მომღერალი სტკბება, რასაკვირველია, როდესაც იგი განიცდის ნიქს აღკვეთილი არ არის.

არიან ისეთი მომღერალნი, რომელნიც თითონ არავითარ შინაგან წვას არა ჰგრძნობენ და, თუ აღელვებთ რამ — მხოლოდ ის ფიქრი — ამ თუ იმ ბგერაში ხმამ არ მიმტყუნოსო.

* * *

თუ არა ამით, მაშ რით აიხსნება, რომ სცენაზე პირველ გამოსვლისათანავე ვანო სარაჯიშვილი იწვევდა არა მარტო აღტაცებას ლამაზი მღერავი ხმით, არამედ იწვევდა სულიერ აღძვრას მცხუნვარე მზესავით აგიზგიზებული ცეცხლით!

იმის მიუხედავად, რომ სასცენო გამოცდილება სულ არა ჰქონდა, არც ტანისამოსის ხმარების უნარი, არც მიხვრამოხვრა, იგი მაინც მხატვრული განმსჭვალვით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა მსმენელზე. ხშირია ის მაგალითები, რომლის ნიმუშიც დასაწყისში აღვნიშნე.

არც ის ითქმის, ვანო სარაჯიშვილს ხანგრძლივი და მკაცრი დისციპლინარული სკოლა გაეგლოს სიმღერისა. მაგალითად, დიდებული რუბინი, რომლის მსგავსი, — არც წინად, არც მის შემდეგ, — ოპერის სცენას არ უნახავს, — სრული ცამეტი წელიწადი სწავლობდა სიმღერას. რასაკვირველია, მან მიაღწია ვოკალური ხელოვნების თავბრუდამხვევ მწვერვალს, რასაც ახლანდელი შესანიშნავი მომღერალი თვალსაც ვერ აუწვდენს. ასეთი მაგალითი მსოფლიო ისტორიაში იშვიათზე იშვიათია, და მხოლოდ იქ შესაძლებელი, სადაც ირწეოდა აკვანი საერთოდ — მუსიკის კულტურისა და კერძოდ-კი — სიმღერისა — იტალიაში.

ვანო სარაჯიშვილის სკოლა, ჩემის დაკვირვებითი და მისივე თქმით, უფრო ის იყო, რომ მას შემთხვევა ჰქონდა მოესმინა სცენაზე ჯერ პეტერბურგში და მერე იტალიაში

სიმღერის საუკეთესო ოსტატნი: მაზინი, ბატისტინი, კარუზო, ანსელმი, ტიტა-რუფო, დე-ლუჩია, გრასი, გარბინი და სხვ. ბუნებისაგან მას უხვად ჰქონდა მუსიკალური ალლო მიმადლებული. ამიტომ ყოველი განაგონი ზემოხსენებულ მომღერალთაგან, უეჭველია, მისვე შეუცნობლად, იქდებოდა მის მგრძნობიარე მუსიკალურ მეხსიერებაში, შემდეგ გადადიოდა სულიერ წიადში და თანდათანობით მთლიან სისტემად იქმნოდა.

აი, სწორედ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ვანო სარაჯიშვილი, პეტერბურგში ორის წლის ყოფნის შემდეგ, — ყველას ანცვიფრებდა თავისი უებარი bel-canto-თი, თითქო მას გაეელოს ხანგრძლივი სკოლა იტალიური ვოკალური ხელოვნებისა.

— საიდან, საიდან არის ეს ნამდვილი იტალიანური მანერა ხმის აუღერებისა, რაც მხოლოდ პირწავარდნილ იტალიელს თუ მოსდგამს? — კითხულობდნენ მუსიკისა და სიმღერის მკოდნენი.

* * *

რასაკვირველია, ამის შემკითხველს იმ ცნობებით ვერ დააკმაყოფილებდით, რასაც შეიცავს ვანო სარაჯიშვილის თავგადასავალის ფორმულიარი.

ეს ფორმულიარი ფაქტებით და ცნობებით მაგრერიგად მდიდარი როდია.

ვანო სარაჯიშვილი მეათეორმეტაგანია მისი მამის პეტრე სარაჯიშვილის ოჯახში. ეს პეტრე სარაჯიშვილი ინჟენერ-ტექნოლოგი ყოფილა. ხოლო საქართველოში იმის დროს, ე. ი. წარსული საუკუნის მეოთხმოცე წლებში, საინჟენერო ხელოვნება ისეთ დონეზე მდგარა, რომ პეტრე სარაჯიშვილი იძულებული გახდარა — თავისი საინჟენერო დიპლომი სიღნაღის ნოტარიუსის პატენტზე გაეცვალა.

ამრიგად, სიღნაღის ნოტარიუსის პეტრე სარაჯიშვილისა და მისი მკლდლის ეფიმია რუსიევ-ყორჩიბაშიშვილის ასუ-

ლის ოჯახში 1880 წლის მაისის 1-ს დაიბადა ჩვენი მომღერალი. რალა თქვა უნდა, იმ დროს მისი სიმღერა ისე დამატკბობელი არ იქნებოდა, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, და, აღბაღ, მშობლებისათვის პაწია მომღერალის შუალამის კონცერტებს არა ერთხელ დაუფთხია ძილი.

ვანოს უკვე ექვსის წლიდან დაუწყვია მღერა—დისკანტით. შვიდის წლისა მიუბარებიათ სათავადაზნაურო გინაზიაში. შესვლისათანავე მოსწავლეთა ხოროში ჩაურიცხავთ. მეორე კლასიდან ხოროს ჰლოტბარობდა. ამავე დროს ვიოლონჩელზე დაკვრას სწავლობდა თავისი ბიძაშვილის, კარგად ცნობილი ვიოლონჩელისტის ივანე სარაჯიშვილის ხელმძღვანელობით. 16—17 წლისა იგი გიმნაზიას სტოვებს და ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში შედის ვიოლონჩელზე დაკვრის შესწავლის განსაგრძობად. ივანე სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ ვანო მასწავლებელ დუბინსკის ხელში გადადის. სამუსიკო სასწავლებელში ორი წელი დაჰყო. ჯარში გაწვევის მოახლოვების გამო იგი მოხალისედ შედის ერთ-ერთი პოლკში.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვანო სარაჯიშვილის მახლობელნი და ამხანაგები, უცხონიც კი, ურჩევენ მას—სიმღერის შესწავლას სერიოზულად მოჰკიდოს ხელი, რადგანაც ყველა შესანიშნავ ხმას ამჩნევს. მაგრამ ოჯახის ხელმოკლეობის გამო იგი ვერ ახერხებს ამ რჩევის სისრულეში მოყვანას. ბოლოს გადასწყვეტს სამოქალაქო სამსახურში შესვლის და ჯამაგირით თავის რჩენას და თანაც სიმღერაში ვარჯიშობას.

ამისთვის ის პოლკიდან გამოდის და თხოვნა შეაქვს ტფილისის ხაზინაში მოხელედ მიღების შესახებ. საქმე, რასაკვირველია, ბრკოლდება რადგანაც იმდროას რუსიფიკატორულ წყვდიადში ქართველისათვის სახელმწიფო დაწესებულებაში აღგილის შოვნა მეტად გაძნელებული იყო. ამავე დროს ვანო სანდრო კავსაძის ხოროში ჰგალობს და ძალიან ხშირად თოვლ-ქყაპში მიცვალებულის გასვენებაც კი უხდება.



გერმან („პიკუზაიის ღამა“)

იხანში სახაზინო პალატის უფროსად იყო ვინმე მიხაილოვი, კაცი განათლებული და ქართველი საზოგადოებისადმი, ცოტად თუ ბევრად, ადამიანურად განწყობილი. ამასთანავე იგი საკმაოდ მოქეიფე იყო და სიმღერის მოყვარული,

ერთხელ თურმე სახაზინო პალატის უწყების რომელიღაც თვალსაჩინო მოხელეს სადილს უმართავდენ. ამ სადილს მიხაილოვიც უნდა დასწრებოდა. ხაზინის ერთმა მოხელემ, დიპ. ბახუტაშვილმა, რომელიც ვანოს თასლიბს უწევდა და სამსახურში მიღებინებას სცდილობდა, ვანოც წაიყვანა სადილად იმ იმედით, რომ მიხაილოვი მოისმენს ვანოს სიმღერას, მოეწონება და შეიძლება სამსახურშიაც დანიშნოს. ბახუტაშვილის განზრახვა გამართლდა მოულოდნელის გამარჯვებით. მიხაილოვი ისე მოიხიბლა თურმე ვანოს ხმითა და სიმღერით, რომ ხაზინის მაგივრად, სახაზინო პალატაში მიიღო, მერე ისეთ ადგილზე, რომ საქმე სულ ცოტა ჰქონდა და ჯამაგირი კარგი მიხაილოვისავე დახმარებით ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ ვანოს სტიპენდია დაუნიშნა და, ამრიგად, იგი 1903 წ. პეტერბურგს გაემგზავრა სიმღერის შესასწავლად. შემდეგში, უკვე პეტერბურგში მყოფს, ვანოს სტიპენდია დაუნიშნა აგრეთვე ცნობილმა ქველმოქმედმა დავით სარაჯიშვილმა.

ამ ეპიზოდზე იმიტომ გავჩერდი, რათა ერთხელ კიდევ აღმენიშნა, თუ ხანდახან რა დიდი მნიშვნელობა აქვს უცაბედ, უბრალო შემთხვევას ადამიანის სვებედის გადაწყვეტისათვის.

პეტერბურგში ვანომ სწავლა დაიწყო რუსეთის შესანიშნავ მომღერალ (ბარიტონი) პრიანიშნიკოვთან. ამ პროფესორთან მოსწავლედ შესვლა მეტის-მეტად ძნელი საქმე იყო, რადგანაც აღარბელი მოწათენი ჰყავდა. ბოლოს, როგორც იყო, გავლენიან პირთა დახმარებით, პრიანიშნიკოვი დათანხმდა—მხოლოდ მოესმინა ვანოს ხმა—სათანადო შეფასებისათვის; მოწათედ მიღებაზე-კი გადაჭრილი უარი გა-



ნათელა (აჭარისკაცი)

ნაცხადა. ხოლო, როცა ვანომ კავატინა უმღერა „ფაუსტიდან“, —პროფესორი ისეთ აღტაცებას მიეცა, რომ, არამც თუ მიიღო იგი მოწაფედ, სასყიდელზედაც უარი განაცხადა. პრინციპიკოვისაგან ვანო ცნობილ პროფესორ ქ-ნ პანაევამ — კარცევასთან გადავიდა. ორის წლის სწავლების შემდეგ ქ-ნმა პანაევა-კარცევამ 1906 წ. გაზაფხულის სეზონში მოუხერხა ვანოს დებიუტი იტალიურ ოპერაში, სადაც მღეროდენ შესანიშნავი მომღერალნი: ქ-ნი ვაიდა-კოროლევინი, ბარიტონი ტიტა-რუფო და სხვ. პირველსავე გამოსვლაზე აღფრედის როლში („ტრავიატა“) ვანო ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ იგი სრული თანამოზიარე გახდა სასცენო გამარჯვებისა ქ-ნ ვაიდა-კოროლევინთან ერთად.

იმავე 1906 წ. შემოდგომის სეზონში ვანო ტფილისის სახაზინო ოპერაში იქნა გასტროლებზე მოწვეული. იმღერა აღფრედისა, ჰერცოგისა („რიგოლეტო“), ფაუსტისა და ლენსკის („ევგენი ონეგინ“) როლები. აქაც იგი დიდ გამარჯვებას ეწია და სწორედ იმ აღტაცებას იწვევდა საზოგადოებაში, რაც წერილის დასაწყისში აღვნიშნე. თეატრი ყოველთვის გაქედილი იყო და ოვაციები და ტრიუმფი უმწვერვალესობამდე აღწევდა.

ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ, როგორც ზევითაც აღვნიშნე, რომ ვანო იმ დროს სრულიად გამოუცდელი იყო სცენისათვის და, რასაკვირველია, ამა თუ იმ მომქმედი-პირის სცენიურ სახეს ვერა ჰქმნიდა ხოლმე. ამრიგად, მისი ჯადოსნობა, როგორც ხელოვანისა, რომლითაც იგი მაინც დიდად ჰხიბლავდა საზოგადოებას, —დიდიან-პატარაანად, მცოდნესა და უცოდინარსა, —გამოიხატებოდა ხმის მშვენიერებასა და მგზნებარე ტემპერამენტში, რაც სიმღერის ნაკადად გადაიშლებოდა ხოლმე. ამ ტემპერამენტის მეშვეობით იგი თავის ისედაც თილისმა ხმას სულის სიღრმემდე ჩამწვდენ მეტყველებას აძლევდა.

რალა თქმა უნდა, ვანო სარაჯიშვილი ბუნებით დაჯილ-

დოვებულია იშვიათი მუსიკალობით და სმენით. შეიძლება, ვანომ მათემატიკური სისწორით არ გადმოგცეთ ნოტებად ასხმული ფრაზა, ხოლო კილოს სიყალბეს მას თავის დღეში ვერ შეჰნიშნავთ.

იმავე 1906 წ. ვანო სარაჯიშვილი გაემგზავრა იტალიას (მილანში) სიმღერის უნარის სრულყოფამდე მისაღწევად. აქ იგი იმდენად სისტემატიურად როდი სწავლობდა რომელსამე პროფესორთან, რამდენადაც ისვენდა დიდებულ ქურუმთ ვოკალური ხელოვნებისას.

სხვათა შორის, მილანში ვანო გაეცნო საგასტროლოდ მყოფ შალიაპინს, რომელსაც ვანოს ხმა თურმე ისე მოეწონა, რომ წინადადება მისცა—პარიზს გაჰყოლოდა მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვის“ წარმოდგენაში მონაწილეობისათვის. მაგრამ ვანო, შალიაპინის თაოსნობით, ლა-სკალას თეატრში გამოცდის შემდეგ, ჰარმაში იქნა მიწვეული პირველ ტენორად. პარიზიდან ტრიესტში გაიწვიეს, მაგრამ ამ დროს პეტერბურგის ანტრეპრენიორის გვიდის წარმომადგენელი დუმა პეტერბურგისათვის დასს აგროვებდა მილანში. სხვათა შორის, ამ დასში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი ოლიმპია ბარონატ, ანსელმი, ჯირალდონი და სხვ. ვანოც მიიწვია. ეს იყო 1909 წ.

პეტერბურგში წასვლამდე ვანო სამშობლოში დაბრუნდა და სახაზინო თეატრში გასტროლებზე იქნა მიწვეული. ამ სეზონში, გარდა ზემოდ ჩამოთვლილი პარტიებისა, მან იმღერა ნადირის („მარგალიტის მაძიებელი“) და ვილჰელმ მაისტერის („მინიონ“) პარტიები. რაღა თქმა უნდა, მეტი ოსტატობა, მეტი სცენიური გამოცდილება ხელს უწყობდა წინანდელ ტემპერამენტს და ამრაგობაზე იგი უკვე დ. მთავრებულ არტისტად ჩათვლებოდა.

ტფილისისა და პეტერბურგის შემდეგ ვანო მღეროდა საზაფხულოდ კისლოვოდსკში, მერე ციმბირში,—ვანო ფალიაშვილის ანტრეპრენიორობით;—შემდეგ კვლავ ტფილისში, პეტერბურგში და ბაქოში.

1918 წლიდან მუდმივად ტფილისში იმყოფება და ხშირი სტუმარია საქართველოს პროვინციისა.—

ასეთია მოკლე და გარეგნულად სარაჯიშვილის მოღვაწეობის სავალი გზა.

მისი სასცენო მოღვაწეობის სათავეს თარიღად მიღებულია 1903 წ., როდესაც იგი, როგორც პროფესიონალი, პირველად გამოვიდა პეტერბურგში საკონცერტო ესტრადაზე. ხოლო ამაზე უწინ, ასე 1901—1902 წ.წ., ჯერ კიდევ ტფილისში მონაწილეობას იღებდა როგორც სიმღერის მოყვარული, სხვა და სხვა კონცერტებსა და საღამოებში

ოცი წელიწადი მომღერლისათვის საპატიო ვადაა. რაოდენი მღელვარება, ცხოვრების რაოდენი უკუღმართობა, რაოდენი ინტრიგა და შური გამოუცდია ამ ხნის განმავლობაში!.. რასაკვირველია, ყოველივე ეს სრულიად იჩრდილებოდა იმ მხატვრული გამარჯვების წინაშე, რასაც იგი თითქმის ყოველთვის განიცდიდა. მაგრამ ერთსაც და მეორესაც დიდი ნერვიული ენერჯის დახარჯვა ესაჭიროებოდა. ეს-კი თვალსაჩინო დაღს ასვამდა მის სულ-ხორცის ძალას.

ამავე ხნის განმავლობაში იგი გამოიბრძმედა ხელოვნების საწრთობში და დიდი არტისტი დადგა. სმენის მოალერსე მომღერლის თვისებას მან თანდათანობით შეუერთა სილაზათე უნარიანი მსახიობისა. თითქმის ყველა როლში ის გამოკვეთილ სცენიურ სახეს იძლევა. რასაკვირველია, ამხბრივ მას დიდად ხელს უწყობს მოხდენილი სასცენო გარეგნობა.

ვანო სარაჯიშვილს დიდი რებერტუარი აქვს. ეს რებერტუარი ვნ ოპერამდე აღწევს და შეიცავს სხვა და სხვა ხასიათის მუსიკალურ და სცენიურ სახეს.

თავიდან ვანო წმინდა წყლის ლირიული ტენორი იყო,— სათუთი, მართოლვარე, ფაქიზი, ნათელოვანი და გამჭვირვალე.

იტალიიდან დაბრუნებისას მის ხმას მეტი სიმკახეობა ეტყობა და თუმცა ამასთანავე წინანდელი შუქიანობა და გამ-



რადამეს („აიდა“)

ქვირვალება შეჩვენია, ხოლო არა მთელი თვისი ჯადოსნური ძალით.

ვანო ახლა უკვე, ლირიული პარტიების გარდა, ჰმბედავს ეგრედ წოდებულ „მეცცო-კარაჭერე“ პარტიების აღსრულებასაც (დონ-ხოზე-„კარმენში“, კავარადოსი — „ტოსკაში“) და ბოლოს დრამატიულ როლებზედაც გადადის (რაჟულ — „ჰუგენოტებში“, გერმან — „პიკოვია დამაში“, რადამეს — „აიდაში“) ამ უკანასკნელი ხასიათის როლებში შესანიშნავი იყო — რაჟულის როლში.

სხვა ღირსებასთან ვანოს ერთი თვალსაჩინო თვისებაცა აქვს. რაც უნდა გუნებაზე არ იყოს, რაც უნდა ხმა ჰღალატობდეს, მაინც ოპერის ერთ რომელიმე ადგილას მოულოდნელად გამოაშუქებს და მთლად გამოისყიდის ხოლმე მთელი საღამოს მარცხს.

ბოლო წლებში, განსაკუთრებით-კი მიმდინარე სეზონში, ვანოს დიდი მუშაობა ჰხვდა წილად. ძალიან ხშირად უხსნია გაჭირებისაგან დირექცია, როცა რომელიმე არტისტის ავადმყოფობისა ან ჟინიანობის გამო წარმოდგენა გადადებულ უნდა ყოფილიყო. აი, ამ დროს ვანო მართლა რომ გაჭირვების ტალკვესი იყო ხოლმე. დიდი და მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე, — იგი ხანდახან თითონაც შეუძლოდ მყოფი, იკისრებდა ხოლმე სხვის მაგიერობას. ყოველთვის ასეთი შეცვლის ანონსი საზოგადოებაში კმაყოფილების ტაშს იწვევდა, ისე უყვარს იგი საზოგადოებას. ასეთი სიყვარული იშვიათი მოვლენაა. მრავალი სეზონის განმავლობაში არტისტს ერთსა და იმავე საზოგადოების წინაშე უხდება მოღვაწეობა. სრულიად ბუნებრივია საზოგადოების მიერ გულაცრუება, თავის მოწყენა მუდამ ერთი და იგივე მომღერლის მოსმენის გამო.

მართლაც-და, კაცი რჩეულთაგანი უნდა იყოს, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენა დასძლიოს და საზოგადოება მუდამ თვისადმი გულხმიერების ფარგალში ამყოფოს. ვანომ



აბესალომ („ამესალამ და ოთრძი“)

ამ გამარჯვებას მიაღწია და სწორედ ეს ჰმოწმობს, რომ იგი რეულოთაგანია.

ოპერის გარდა, ვანო იშვიათი საკონცერტო მომღერალია. საუცხოვო დიქცია, მეტყველი ფრაზა და მუსიკალური პიესის სტილის შეგნება, — ამასთანავე ხმის ბგერათა მრავალფეროვანება — ჰხადის მას საკონცერტო ესტრადის საფუკეთესო ხელოვანად.

* * *

თავისთავად, როგორც ოპერის მომღერალი, ვანო სარაჯიშვილი ყველგან და ყველა საზოგადოებისაგან თვალსაჩინო არტისტად იქნებოდა მიჩნეული. ხოლო, კერძოდ — ქართველი საზოგადოებისათვის მას განსაკუთრებული ღირებულება აქვს.

იმის გარდა, რომ ქართველთა შორის იგი თითქმის პირველი მომღერალია, რომელმაც თვალსაჩინო სახელი მოიხვეჭა საქართველოს გარეშეც, — ამასთანავე იგი პირველია აგრეთვე იმითაც, რომ ქართული მუსიკალური შემოქმედების მიმრქმელობა ჰხვდა წილად.

ქართული ოპერა და ვანო სარაჯიშვილი უერთმანეთოდ როგორღაც წარმოუდგენელნი არიან. რასაკვირველია, იგი უპირველეს და უმნიშვნელოვანეს მონაწილეობას იღებს ყველა ქართულ ოპერაში, რაც აქამდე დაწერილა და შემდეგშიაც მიიღებს, თუ კვლავ შეიქმნება რამ.

ექვგარეშეა, ყველა კომპოზიტორს ოპერის თხზვის დროს თვალწინ ჰყავს ვანო სარაჯიშვილი, როგორც მისი ოპერის უმთავრესი როლის აღმსრულებელი და ინსტიტუტურად ცდილობს თვის მიერ შექმნილი სახე ვანო სარაჯიშვილის არტისტულ ბუნებას შეუფარდოს.

ჩემის ღრმა რწმენით, ვანო სარაჯიშვილის მიერ აღსრულება ქართული ოპერების გმირებისა ტრადიციად და მიმბა-



უკანასკნელი ხნის სურათი

ძველობის ნიმუშად დარჩება. ქართული მუსიკალურ-სცენიური სახეების განხორციელებაში ვანომ სთქვა თავისი საკუთარია სიტყვა და ხელოვნების უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. ამხრავ მას არა ეძრახვის-რა. თვით შური და მტრობაც-კი იძულებულია დამუნჯდეს არტისტის შემოქმედობის წინაშე ამ სფეროში.

ვანომ საკვირველის სულთამბილაობით აართვა ალლო ქართულ სიმღერას და თავისებურობის იერით შემოსა კომპოზიტორების მიერ შექმნილი მუსიკალური ჰანგები.

ვის არ ეხსომება მისი აბესალომი, შოთა, თეიმურაზ (ლეილა) ირაკლი (ლალატი)! განსაკუთრებით აბესალომი, რომელიც ასჯერ აქვს ნამღერი. ვის არ ჩაესმის ყურში დაუფიწყარი ფრაზები „ჰეიჰ, ვის გინდათ ქალი ეთერი“, „მურმანო, აჰა ეთერი“, ან შოთას რეჩიტატივი „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვერცა ვიწრო კლდოვანი“ და სხვ.

ქართული ჰანგით ვანო გადმოგვცემს არა მარტო ქართული სიმღერის სტილს, არამედ ეროვნულ სულსაც, რაც მას შინაგანი ინტუიციით სრულყოფამდე შეცნობილი აქვს და გრძნობაში გამჯდარი. ამასთანავე მან ნიშანდობლივ იცის, რომელ ჰანგს რა იერა აადევნოს. მაგალითად, გაიხსენეთ „ურმული“-ს მელანქოლიური სინარჩარით აღსავსე კილო და შეადარეთ „ჩაკრულო“-ს ომახიან შემოძახილს, —რა დიდი განსხვავებაა! ან, კიდევ, „ინდი-მინდი“-ს (კოტე ფოცხვერაშვილის რომანსი) გურული სიმკვირცხლე, ხმაგრეხილობა, სიკისკასე... თითქმის ხორცშესხმული სახეებია, თვალისათვისაც-კი განაცადი...

ყველა კულტურული ერას მუსიკას ჰყავს თავისი მესაიდუმლე მომღერალი. ზოგს მრავლობით, როგორც, მაგალითად, იტალიას, ზოგს თითო-ოროლა. ეს მომღერალნი თავიანთი მხატვრული სულით და ალლოთი, თავიანთი პოეტურის აღმაფრენით ჩასწვდებიან ხოლმე ეროვნული შემოქმედობის სიღრმეს, — კოლექტიური იქნება იგი, თუ ინდივიდუ-

აღური, — და ხასხასა ფერადებად აამეტყველებენ სამშობლო
ქვეყნისა კენესას თუ სიხარულს ხალხის საგულისხმიეროდ და
თავიანთვე სადიდებლად.

ამ მესაიდუმლე მომღერალთა გუნდს ეკუთვნის ვანო სა-
რაჯიშვილიც.

სწორედ ამიტომ იგი ქართველ ხალხს უყვარს ჭეშმარი-
ტის სიყვარულით.

ეს სიყვარული უაღრესი ზნეობრივი გამარჯვებაა მისი.

ინ-ენ.

1923 წ. მაისის 1.
დღა-ძალადი.

[ილია ჩიქოვანიძე]

(ილია ჩიქოვანიძე)

78

8971

78

№ 971

ტფილისი. 1923 წ.

ს. მ. უ. ს. პოლ. განყ. მე-3 სტამბა, მთავსამლიტგამ. № 273 ტირ 500.